

„თბილისის წყალი“ გაიყიდა

რა დარღვევები პრეზიდენტის განკარგულებაში?

ენიო მანიაშვილი

როგორც წესი, ჩვენი ხელისუფლება დიდი ზარ-ზეიმით გვამცნობს ხოლმე ამა თუ იმ სახელმწიფო ობიექტის გასხვისების შესახებ და უცხოელი ინვესტორების მოზიდვითაც ხშირად ამყობს, თუმცა, ჩვენდა გასაკვირად, 14 მაისს „თბილწყალკანალი“ ისე გაიყიდა, რომ ამის შესახებ საზოგადოება დღესაც არაა ინფორმირებული.



ენიო მანიაშვილი


სწორედ ამიტომ არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ 14 მაისს „მულტიპლექს სოლუშენსსთან“ გაფორმებული კონტრაქტის ასლი მოითხოვა, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, იტყუებული გახდა, ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საჩივარი შეეტანა. „19 მაისს მოწოდებული წერილით გვატყობინებდნენ, რომ ეს ობიექტი ჰყვებოდა პრივატიზების რეჟიმში. ამის შემდგომ ჩვენ ადმინისტრაციული საჩივარი შევეტანეთ ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით, ასევე ვითხოვდით შესაძლო კონტრაქტს „მულტიპლექს სოლუშენსსთან“, გვიანტერესებდა მათი აზრი 14 მაისს გაფორმებული კონტრაქტის

ასლის ჩვენთვის მოწოდებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, არც ამის შემდეგ გარკვეულა რაიმე. 12 ივლისს ამოიწურა ადმინისტრაციული საჩივრის ვადა, ასლი კი ჯერჯერობით არ მოუწოდებიათ“, – აღნიშნავს „ნაციონალურ ბიზნესთან“ საუბრისას „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი, დავით ჭიპაშვილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო და მეტად საინტერესო გარემოება, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, 98-ე მუხლის თანახმად, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ სახელმწიფო ქონების გასხვისებას, პრეზიდენტს აქვს

უფლება, პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისოს სახელმწიფო მუნიციპალური ქონება იმ შემთხვევაში, თუ ამ ქონების ღირებულება არ აღემატება 100 000 ლარს. „მართალია, კანონის თანახმად, პრეზიდენტს აქვს პირდაპირი მიყიდვის წესით სახელმწიფო ქონების გასხვისების უფლება, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ღირებულება არაა 100 000 ლარს, არამედ 100 მილიონს აღემატება „რუსთაველკანალთან“ და „თბილწყალკანალთან“ ერთად. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ პრეზიდენტის 10 აპრილის განკარგულებით, არ შეიძლება „თბილისის წყლის“ პირდაპირი წესით გასხვისება, ამით პირდაპირ დირექტორსა და საკრებულოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, – ამბობს დავით ჭიპაშვილი.

ამასთანავე, ამ განკარგულების საფუძველზე, ეს თანხა, დაახლოებით 100 მილიონი ლარი უნდა ჩარიცხულიყო 35 კალენდარულ დღეში, თუმცა საზოგადოებისათვის ესეც უცნობია, დაფარა თუ არა მილიანად აღნიშნული თანხა „მულტიპლექს სოლუშენსსა“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ განკარგულების საფუძველზე, 2009 წლიდან, ელექტროენერჯის მატებასთან ერთად გაიზარდა წყლის ტარიფიც. ამასთან, როგორც ცნობილია, ივლისში იგეგმება საქართველოს ენერჯეტიკისა და მარეგულირებელი კომისიის საჯარო განხილვები წყლის ტარიფის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. გაურკვეველია, მაშინ, როცა წყლის ტარიფი უკვე განსაზღვრულია



პრეზიდენტის განკარგულებით, რა მიზანიღა აქვს ამ განხილვებს... რაოდენ გასაკვირადაც უნდა მოგეჩვენოთ, აღმოჩნდა, რომ „მულტიპლექს სოლუშენსსთან“ გაფორმებული კონტრაქტის ზუსტი

თარიღი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრესსამსახურში არაა იცნობა. „ხელშეკრულება რამდენიმე დღის წინ გაფორმდა და მორჩა!“ – ასეთი უხეში პასუხით შემოიფარგლნენ ისინი.

GRDC სეკავშირის აღბილას მრავალსართულიან შენობას უკანონოდ აშენებენ?

როინ ადამაძე: ათი წელი რომ გავიდა, შენობა მაინც ცეკავშირის დაუბუნება და მამუკა აბისაძესაც გაუშვებენ იმ, სადაც საჭიროა

შორენა გომოლაძე

თბილისში წამოწყებული სამშენებლო პროექტებიდან ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური კომპანია RDC-ის პროექტია, რომელიც ცეკავშირის შენობის ადგილას აშენდება. შენობა მრავალსართულიანი იქნება და სხვადასხვა კომპანიებს საოფისე ფართებით მოემსახურება. თუმცა დასანგრევად გამოზადებული შენობის მფლობელი საქართველოს კოოპერატივია. კოოპერატივის თავმჯდომარის, როინ ადამაძის განცხადებით, აღნიშნული შენობა ამჟამად TBC ჯგუფს ეკუთვნის. „რეალურად დაფიქსირებული არის, რომ ეს შენობა TBC ჯგუფს ეკუთვნის, მაგრამ ის ჯერ კიდევ ცეკავშირის

ბალანსზეა. ჩვენი ბალანსიდან ეს შენობა არავის მოუხსნია.“ აღნიშნულ თემაზე „ნაციონალური ბიზნესის“ კითხვებს როინ ადამაძემ უპასუხა.

N. B.: თუ ეს შენობა ცეკავშირის გაერთიანებას ეკუთვნის, TBC ჯგუფს ვინ დაუკანონა?

როინ ადამაძე: როდესაც ამის დაკანონება მოხდა, მაშინ ცეკავშირის თავმჯდომარეები იყვნენ მამუკა აბისაძე და ივანე ქეღაძე, რომლებმაც ეს შენობა მოიპარეს და მიჰყიდეს TBC ჯგუფს. TBC ჯგუფი ამბობს, რომ შენობა ჩვენია და კანონიერი მფლობელები ვართო. მე მათი მჯერა, მაგრამ მათ ამ შენობის ფული არა აქვთ გადახდილი.

თაღლითმა აბისაძემ და ქეღაძემ მოგვატყვეს როგორც ჩვენ, ასევე TBC ჯგუფიც. ხელშეკრულება არის გაფორმებული, რომ TBC-მ, ყოველწლიურად, 2012 წლამდე, 31 იანვარს 444 000 ლოლარი უნდა გადაიხა-

დოს. თუმცა მათ მიერ არ არის გადახდილი ეს თანხა და, შესაბამისად, შენობაც არ შეიძლება ჩაითვალოს მათ საკუთრებაში.

TBC ჯგუფმა პირველადი შენობით 4 მილიონი ლარი გადაიხადა და აბისაძემ ბანკის მიერ გადახდილი ფული გადაიტანა საკუთარ ანგარიშზე. მან ამ თანხით შეიძინა სამშენებლო ფირმა „ლიბოს“ წელი. ათი წელი რომ გავიდა, შენობა მაინც ცეკავშირის დაუბუნდება და მამუკა აბისაძესაც გაუშვებენ იქ, სადაც საჭიროა.

– სასამართლოს თუ მიმართეთ?

– ჩვენ ვიჩივლეთ, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მივეცილა.

P. S. როინ ადამაძის განცხადებით, ეს სიტუაცია არ განიშუტება არასდროს, სანამ კანონიერად არ მოხდება ამ შენობისთვის მფლობელის გამოჩენა. „რომელმა კომპანიამაც არ უნდა ააშენოს ცეკავშირის ადგილზე შენობა, ის მაინც ცეკავშირის საკუთრება იქნება“. ადამაძის თქმით, ის იმდენ ვერ პოუ-

ლობს სამართალს, რომ ივანე ქეღაძეს, რომელმაც უკანონოდ გაიყიდა შენობა, მფარველები ყავს საქართველოს მთავრობაში და ამიტომაც არის ასეთი მდგომარეობა. „დღეს ძალიან ბევრი ადამიანია საქართველოში დანიტერესებული ცეკავშირის ლიკვიდაციით და ამიტომ ამ ფორმებით ებრძვიან მათ, ვიმედოვნებ, მოგახერხებთ საკუთარი ქონების დაბრუნებასა და გამოყენებას.“

„ნაციონალური ბიზნესი“ კომპანია GRDC-ს დაუკავშირდა, სადაც ქონების შეყიდვების დირექტორმა, გიორგი თადარიძემ გვიპასუხა. „ნაციონალური ბიზნესის“ კითხვაზე, თუ როდისთვის იწყებოდა მშენებლობა ცეკავშირის შენობის ადგილას, ან როდის დასრულდებოდა, მან პასუხი არ გავცა და განგვიმარტა, რომ ის ამ საკითხში კომპეტენტური არაა. „მე არ ვარ ამ საკითხში კომპეტენტური. ამ პროექტს ყავს თავის გენერალური დირექტორი, სანდრო რატიშვილი. მას დაუკავშირდით

და ის გაცემთ პასუხს.“ კომპანია GRDC-ში კიდევ დავრეკეთ და ამჯერად მელაისთან ურთიერთობის დირექტორისგან, ნინო გორგობისგან ვითხოვეთ კომენტარი, მაგრამ ის დაკავებული აღმოჩნდა. აღნიშნული პროექტის გენერალური დირექტორი სანდრო რატიშვილიც არ გახლდათ ოფისში. როგორც კომპანიის ოპერატორმა განგვიცხადა, მას არ აქვს უფლება, თანამშრომლის პირადი ნომერი მისცეს პრესის წარმომადგენელს. ჩვენი კომპანიაში დაკავშირების რამდენიმეჯერის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. საბოლოოდ კი კომპანიისგან პასუხი მაინც ვერ მივიღეთ, თუ რამდენად კანონიერია ის პროექტი, რომლის განხორციელებასაც GRDC რამდენიმე თვეში დაიწყებს. როინ ადამაძის თქმით კი, ცეკავშირის გაერთიანების წევრები დათმობას არ აპირებენ და ბოლომდე იბრძობენ საქუთარის უფლებებისა და შენობის დასაცავად. ცეკავშირი ამჟამად 100 000 მეპაიეს აერთიანებს.